საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 11633/01
09/11/2021

11633-01-2-202111091742

შპს „ეისიი მეტალსს“
მის: ქ. თბილისი, გარდაბნის გზატკეცილი N42
ელ.ფოსტა: irhan@aceforwarding.ge

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2021 წლის პირველ ნოემბერს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება (N19532), რომელიც ეხება ქ. თბილისში შპს „ეისიი მეტალსის“ სორტული ნაგლინის (ლითონის ცხლად დამუშავება) საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის შესავალ ნაწილში აღნიშნულია, რომ „დოკუმენტაციის მიზანია **არსებული** საქმიანობისთვის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მისაღებად დამუშავებული გარემოსდაცვითი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. თუმცა, დოკუმენტის 1.3. ქვეთავში საქმიანობა განხილულია, როგორც **დაგეგმილი**. აღნიშნული ქვეთავის თანახმად, „შპს „ეისიი მეტალსი“ გეგმავს ხელშეკრულების საფუძველზე ტერიტორიაზე არსებულ N1 შენობაში, რომლის ფართობი შეადგენს 2711.99 მ²-ს გლინვის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას“. პროექტი მოიხსენიება, როგორც **დაგეგმილი** აგრეთვე 118-ე, მე-15, 39-ე, 43-ე, 57-ე და ა.შ. გვერდებზე. ხოლო დოკუმენტის 15-ე თავში წარმოდგენილ პუნქტებში აღნიშნულია, რომ საქმიანობა **მიმდინარეა.** ვინაიდან გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში არსებული მდგომარეობის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციაა მოცემული, საჭიროა დოკუმენტში დაზუსტდეს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის დეტალები;
- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში საყოფაცხოვრებო-სამეურნეო წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში, შიდა საკანალიზაციო ქსელით (გვ.58). თუმცა გზშ-ის ანგარიშის 12-ე თავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ფეკალური წყლები ჩაედინება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები დაზუსტებას

საჭიროებს. აგრეთვე, დაზუსტებას საჭიროებს ამოსაწმენდ ორმოში დაგროვილი ნარჩენების მართვის საკითხები;

- წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშის მე-13 გვერდზე მითითებულია, რომ შპს „ეისიი მეტალსს“ შპს „გრაალი-92“-ისგან იჯარით აღებული აქვს 2711.99 მ² ფართობის ტერიტორია, ხოლო დოკუმენტის მე-15 და 21-ე გვერდებისა და მე-18 გვერდზე წარმოდგენილი აზომვითი ნახაზის თანახმად, იჯარით აღებული ტერიტორიის ფართობი 2742,9 მ²-ს შეადგენს. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი სანიაღვრე წყლების რაოდენობა გაანგარიშებულია 2711,99 მ² ფართობისთვის. შესაბამისად, დოკუმენტში აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და არსებულ მდგომარეობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- დოკუმენტის თანახმად, საქმიანობის განხორციელება იგეგმება 01.19.32.001.116 საკადასტრო კოდით რეგისტირებულ მიწის ნაკვეთზე, თუმცა, გზშ-ის ანგარიშის მე-17 გვერდზე საწარმოს ტერიტორის კუთხეთა წვეროების კოორდიანტების ცხრილში მითითებულია სხვა საკადასტრო კოდი (01.19.32.001.112). ამასთან, აღნიშნულ ცხრილში მოცემული კოორდინატები და დოკუმენტის მე-15, 21-ე გვერდებზე წარმოდგენილი კოორდინატები არ ემთხვევა ერთმანეთს და საჭიროებს შესაბამისობაში მოყვანას;
- ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ 01.19.32.001.116 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილების მიხედვით, სამრეწველო ზონა 1-ში (ს-1) განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საკითხი საჭიროებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასთან შეთანხმებას და გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშში;
- გზშ-ის ანგარიშის 1.1. ქვეთავში აღნიშნულია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს **ინფორმაციას სადემონტაჟო სამუშაოებისა და მეთოდების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)**, რაც გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას; ამავე ქვეთავის მე-4 ნაწილის თანახმად, წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიში მოიცავს „ინფორმაციას ამ ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კომპონენტებსა და მათ ურთიერთქმედებაზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით შესაძლო ზემოქმედების შესახებ“. გაუგებარია, რა იგულისხმება აღნიშნულ „გ“ ქვეპუნქტში, შესაბამისად, დოკუმენტის წარმოდგენილი ნაწილი საჭიროებს რედაქტირებას და შინაარსობრივად გამართვას;
- გზშ-ის ანგარიშის 2.6. ქვეთავის თანახმად, „საწარმოო ობიექტი განლაგებულია ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონში“, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას;
- გზშ-ის ანგარიშის 2.9. ქვეთავის თანახმად „აღნიშნული მდინარეები მიეკუთვნებიან სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყალსარგებლობის კატეგორიის წყლის ობიექტებს“. განმარტებას საჭიროებს, რომელ მდინარეებზეა საუბარი დოკუმენტში;
- გზშ-ის ანგარიშის 2.10. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი, მავნე ნივთიერებების ემისიების გავლენას საწარმოს

ტერიტორიის ზონის გარეთ ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არ აქვს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება-რეალიზაცია, არ წარმოქმნის ნიადაგის დაბინძურების შესაძლებლობას და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით". ზემოხსენებულ ქვეთავში აღნიშნული მტკიცება საჭიროებს შესაბამის დასაბუთებას;

- გზშ-ის ანგარიშის სხვადასხვა ნაწილებში წარმოდგენილი ინფორმაცია ურთიერთგამომრიცხავია და საჭიროებს განმარტებას. დოკუმენტის 50-ე, 51-ე და 54-ე გვერდებზე აღნიშნულია, რომ „საწარმოო დანადგარები **განთავსებულია** დახურულ შენობაში", ხოლო დოკუმენტის სხვადასხვა თავების თანახმად, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილია საწარმოს „<u>მოწყობასა</u> და ექსპლუატაციაზე". გზშ-ის დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს არსებული მდგომარეობის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშის 8.5.1 ქვეთავის თანახმად, საქმიანობის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების პრევენციისა და აღდგენის ღონისძიებები სადემონტაჟო და სამშენებლო სამუშაოების შესრულებისას, რაც წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტში წარმოდგენილ ინფორმაციასთან, რომლის თანახმადაც საწარმოს ფუნქციონირება დაგეგმილია უკვე არსებულ შენობაში; დოკუმენტში აგრეთვე განხილული არ არის პროექტის განხორციელების ეტაპზე საჭირო სადემონტაჟო სამუშოებთან დაკავშირებული საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშის 8.5.2 ქვეთავში აღნიშნულია, რომ „სამშენებლო მოედნებზე, ასევე ექსპლუატაციის ეტაპზე <u>გამწმენდი ნაგებობის ტერიტორიაზე,</u> შესაბამის უბანზე დაიდგმება ორ-ორი განსხვავებული ფერის პლასტმასის კონტეინერები, შესაბამისი წარწერებით". დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის გამწმენდი ნაგებობის მოწყობისა და ექსპლუატაციის საკითხები. ამასთან, გზშ-ის ანგარიშის თანახმად, საქმიანობის განხორციელება იგეგმება უკვე არსებულ ნაგებობაში, შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სამშენებლო მოედნებთან დაკავშირებული საკითხებიც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არსებული მდგომარეობისა და დაგეგმილი საქმიანობის გათვალისწინებით, ხელახალ შემუშავებას საჭიროებს დოკუმენტში წარმოდგენილი ნარჩენების მართვის გეგმა;
- გზშ-ის ანგარიშში სათანადოდ არ არის განხილული და დასაბუთებული არაქმედების, ტექნოლოგიური და ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივები;
- დოკუმენტის 10.4-ე თავში (ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივები), აღნიშნულია, რომ ერთ-ერთ ალტერნატივად განიხილებოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ახალ სამგორში არსებული, 81.13.17.189 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. აღნიშნული საკადასტრო კოდით ალტერნატიული ტერიტორიის იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, მითითებულ ქვეთავში ტერიტორიის შერჩევის ალტერნატივა განხილული არ არის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად და წარმოდგენილია მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით მიღებული დასკვნები;
- გზშ-ის ანგარიშის 3.1 ქვეთავში მოცემული ინფორმაცია შესაბამისობაში უნდა იყოს 121-ე გვერდზე წარმოდგენილ გენ-გეგმასა და მასზე დატანილ ინფორმაციასთან;
- გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული არ არის სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები, მათ შორის, წარმოდგენილი არ არის საწარმოს ფოტომასალა;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საწარმოში გამოიყენება მეტალურგიული ქარხნის მიერ გამოშვებული და სერტიფიცირებული ლითონის ცილინდრული სხმულები" დაზუსტებას საჭიროებს, რა ტერიტორიიდან და რომელი

მეტალურგიული ქარხნიდან ხორციელდება აღნიშნული ნედლეულის შემოტანა. დოკუმენტში დეტალურად უნდა იყოს განხილული ნედლეულისა და პროდუქციის ტრანსპორტირების საკითხები და წარმოდგენილი იყოს ტრანსპორტირების სქემა.

- დოკუმენტის შესავალ ნაწილში „გამოყენებულ ცნებათა განმარტებების“ ნაწილში მოცემული ცნებები და განმარტებები არ შეესაბამება საქართველოს მოქმედ გარემოსდაცვით კანონმდებლობაში წარმოდგენილ ცნებებსა და განმარტებებს და საჭიროებს შესაბამის კორექტირებას/განახლებას;
- გზშ-ის ანგარიშის 1.2. ქვეთავში წარმოდგენილი „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა“ საჭიროებს არსებული მდგომარეობის შესაბამისად განახლებას. აღნიშნული საკითხი აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს დოკუმენტის სხვა ნაწილებშიც;
- დოკუმენტის მე-9, 116-ე და 124-ე გვერდებზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აგრეთვე დოკუმენტის 45-ე გვერდზე მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, აღნიშნული ჩანაწერები საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- გზშ-ის ანგარიშში, ცალკეულ თავებში წარმოდგენილია წინადადებები, რომლებიც ბუნდოვანია და საჭიროებს დაზუსტებასა და კორექტირებას. მათ შორის:

    - დოკუმენტის 10.2. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, რაც მეტად არასასურველი შედეგის მომტანია, რადგან ასევე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნისთვის წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას“;
    - გზშ-ის ანგარიშში განხილულია უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის საკითხები, თუმცა დოკუმენტის 111-ე გვერდის თანახმად, „აღნიშნულ საწარმოს არ ევალება ატმოსფერულ ჰაერზე უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის დანერგვა, იმ კანონებიდან გამომდინარე, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოში შესაბამისი კანონიდან გამომდინარე“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებასა და შესაბამის დასაბუთებას;
    - დოკუმენტის 118-ე გვერდზე მითითებულია, რომ: „ამრიგად, რეალურ მონაცემებზე, აგრეთვე საპროექტო მახასიათებლებზე დაყრდნობით, აღნიშნული საწარმოო ობიექტისათვის, იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას საწარმო დაიცავს ტექნოლოგიური რეგლამენტის მოთხოვნებს, გაატარებს დასახულ ღონისძიებებს და იხელმძღვანელებს წარმოდგენილ გარემოსდაცვით დოკუმენტში მოყვანილი რეკომენდაციებით - გარემოსდაცვითი ნებართვის პროცედურის გავლის მიზნით შესაძლებელია გაკეთდეს გარემოზე ზემოქმედების, როგორც ხარისხობრივი, ისე რაოდენობრივი მნიშვნელობის შეფასება“. აღნიშნული წინადადება გაუგებარია და საჭიროებს განმარტებას.
    - დოკუმენტის 5.3-ე ქვეთავში აღნიშნულია, რომ „დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შერბილების ღონისძიებების დეტალური პროგრამის დამუშავება მოხდება შეფასების შემდგომ ეტაპზე (გზშ-ის ანგარიშის მომზადება), როდესაც ცნობილი გახდება პროექტის ტექნიკური დეტალები“. აღნიშნული საკითხი გაუგებარია, ვინაიდან აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილია როგორც <u>**გზშ-ის ანგარიში.**</u> ამავე თავის თანახმად, „საწარმოში ექსპლოატაციის დროს წარმოქმნილი სახიფათო

ნარჩენების არასწორი მართვის რისკები, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არასახიფათო ნარჩენების (მაკულატურა) წინასწარ დამუშავებასთან დაკავშირებული ტექნოლოგია გარკვეულწილად წარმოადგენს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების წყაროს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით საფუძვლიანად გადამუშავებული და შესწორებული გზშ-ის ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გიორგი ხანიშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე